სოფელ ჭალა-ბოხვაურში ტაძარი გაიხსნა



საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალა-ბოხვაურში მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ტაძარი გაიხსნა.საზეიმო წირვა-ლოცვა ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა **მეუფე იოსებმა** აღავლინა.

ეკლესია, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული XIX საუკუნით თარიღდება. ნაგებობისგან მხოლოდ სამრეკლო და ნანგრევები იყო შემორჩენილი. ფონდი „ქართუს“ მხარდაჭერით მოხდა მისი სრული რეაბილიტაცია და ტაძარს ისევ დაუბრუნდა ძველი იერსახე.

ტაძრის საზეიმო გახსნას გურიაში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** ფონდი „ქართუს“ დირექტორი **ნიკოლოზ ჩხეტიანი,** საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე **კახა სიხარულიძე,** დაესწრნენ.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 33 (10444) 19 დეკემბერი 2022 წ. ფასი 80 თეთრი.

სოფელ ჭანჭათში 45 წლის მამაკაცი მოკლეს

ალიონი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათში 45 წლის მამაკაცი მოკლეს. მკვლელობა 11 დეკემბერს ღამით მოხდა. გარდაცვლილი საერთაშორისო რეისების მძღოლი იყო.

შსს-ს ცნობით, ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1975 წელს დაბადებულ **ზ.წ.**-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი, 1955 წელს დაბადებული, **მ.წ.** დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1975 წელს დაბადებულ ზ.წ.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც იგი მომხდარიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში დაიკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ *მკვლელობას გულისხმობს*“ , — ნათქვამია შსსამინისტროს პრესცენტრის ინფორმაციაში.

„ჩვენ ვმუშაობთ კლიმატთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად“

კაჭრეთში, კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კატასტროფის რისკების შემცირების შესახებ სათემო ფორუმი გაიმართა.

ალიონი. კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში“ კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კატასტროფის რისკების შემცირების შესახებ სათემო ფორუმი გაიმართა. ფორუმის დასრულების შემდეგ საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის მიმართულების ხელმძღვანელს **ნინო ანთაძეს** ვესაუბრეთ:

—გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში საქართველოს მთავრობასთან ერთად კლიმატური საფრთხეებით გამოწვეული სტიქიური მოვლენების რისკების შემცირების,საკმაოდ დიდ კომპლექსურ პროგრამას ახორციელებს. პროექტის დონორები არიან კლიმატის მწვანე ფონდი, საქართველოს, შვეიცარიის და შვედეთის მთავრობები.

სამწუხაროდ, საქართველო გამონაკლისი არ არის და მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ერთად ჩვენც გვაქვს ეს გამოწვევა, ანუ ბუნებრივი მოვლენები,რომლებიც კლიმატური ცვლილებებით არის გამოწვეული. ბოლო ორი ათწლეულის სტატისტიკას თუ შევხედავთ, სამწუხაროდ ამ მოვლენების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, როგორც ინტესივობით, ისე სიხშირით და ზარალი, რომელიც ადგება ჩვენს მოსახლეობას, კრიტიკულ ინფრასტრუქტურას, ეკონომიკას არის საკმაოდ მაღალი. ამიტომ ჩვენი პროგრამის მიზანი გახლავთ გავაუმჯობესოთ კლიმატური ინფორმაციის მოპოვება, შეგროვება, გაანალიზება, და რაც მთავარია შემდეგ ამ ინფორმაციის გამოყენება პროგნოზირებისათვის. სტიქიური მოვლენების მოდელირებისათვის უნდა ვიცოდეთ რა ტიპის პრობლემებს ვაწყდებით. წყალმოვარდნის, სეტყვის, გვალვის, ძლიერი ქარის, მეწყერის, ღვარცოფის თუ სხვა ბუნებრივი მოვლენების მიმართ ვმუშაობთთ ადრეული გაფრთხილების, შეტყობინების სისტემის დანერგვაზე. ეს სისტემა არა მარტო უწყებრივ დონეზე იქნება გამართული,არამედ იქ სადაც მაღალი რისკია, ადგილობრივ ხელისუფლებამდე,მოსახლეობამდე მივა ეს ინფორმაცია.

პროგრამა მოიცავს 11 მდინარის აუზს. რეალურად საქართველოს ყველა დიდი მდინარის ხეობებზეა საუბარი, სადაც ერთზე მეტი მუნიციპალიტეტი შეიძლება იყოს. მზადდება კლიმატური საფრთხეების რუკები და ამ რუკებზე დაყრდნობით მიმდინარეობს სოციალურ-ეკონომიური მოწყვლადობის შეფასება, თუ გვაქვს ინფორმაცია, რომ კონკრეტულ ადგილას არის მეწყერის ან ღვარცოფის მაღალი საფრთხე, რამდენად წარმოადგენს ის რისკს, არის თუ არა იქ მოსახლეობა, კრიტიკული ინფრასტრუქტურა, —სკოლა, საავადმყოფო, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და ა.შ. რისკების შეფასება თითოეული მდინარის აუზს ექნება. ამის შემდეგ დაიწყება სერიოზული სამუშაო კლიმატური რისკების მართვის აუზების დონეზე. კლიმატური რისკების მართვის დაგეგმარებისთვის, კონკრეტული ღონისძიებების გამოვლენაში ჩართვება როგორც მოსახლეობა, ისე მუნიციპალური უწყებები, სათემო ორგანიზაციები, ახალგაზრდობა, ბავშვები, მედია.

აღსანიშნავია მასმედიის როლი პრევენციული სახით მოსახლეობის ინფორმირებისათვის, , რადგან მნიშვნელოვანია სწორი და კორექტული ინფორმაციის გავრცელება, განსაკუთრებით ასეთი სიტუაციის დროს,თუნდაც იგივე, მზადყოფნის და რეაგირების

გვ—3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ვეორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 .№44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამების შესახებ შეხვედრა გაიმართა

გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამების შესახებ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გაიმართა, რომელსაც სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გურიის მხარეში **ქეთევან მოისწრაფეშვილი** რეგიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრების, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და რწმუნებულის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად დაესწრო.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნული პროგრამების შესახებ ისაუბრა და აუდიტორიას დეტალურად გააცნო მათი მიზნები, საკონკურსო პროცედურები და პირობები. პროგრამის ფარგლებში სწავლა ფინანსდება როგორც სბაკალავრო, ასევე, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიურ საფეხურებზე.

პროგრამის შესახებ ონლაინ და სატელეფონო კონსულტაციის გავლა შესაძლებელია სატელეფონო ცხელი ხაზის ნომერზე: **0322 97 01 97 და ელექტრონული ფოსტის iec@iec-.gov.ge საშუალებით.**

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის (CESL) პროექტის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის (CESL) ჯგუფის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ზაზა შოშიტაიშვილი** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

GIZ-ი საქართველომ, ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული ინიციატივის „EU4-ITD - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი“ (CESL) ფარგლებში, საპროექტო იდეების მიღებაზე მუნიციპალიტეტებისთვის კონკურსი გამოაცხადა.

პროექტის მიზანია რეგიონების ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების დონის გაუმჯობესება, მიგრაციული პროცესების შემცირება და რეგიონული ცენტრების გან-ვითარება.

ლანჩხუთში დიალიზის სერვისი ამოქმედდა

ჰემოდიალიზზე დამოკიდებულ პირებს რეგიონული ვჯანდაცვის ცენტრის სამედიცინო დაწესებულება მიიღებს.

კლინიკა, სათანადო სამედიცინო აპარატურით, „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისა“ და რეგიონული ვჯანდაცვის ცენტრის ორგანიზებით აღიჭურვა.

დიალიზის კაბინეტი ყოველდღიურად იმუშავებს და რეგიონში მცხოვრებ 15 ბენეფიციარს მოემსახურება.

შესაბამისი გადამზადება გაიარა სამედიცინო პერსონალმა, კაბინეტის მუშაობაში ჩართულები არიან მოწვეული სპეციალისტები. ჰემოდიალიზზე დამოკიდებულ პაციენტებს აქამდე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სერვისის მისაღებად სხვადასხვა რეგიონში უწევდათ ჩასვლა. ამიერიდან, ყველა მათგანს, ადგილობრივი სახელმწიფო კლინიკა გაუწევს მომსახურებას.

დიალიზის ახალგახსნილი კაბინეტი „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“, რეგიონული ვჯანდაცვის ცენტრის წარმომადგენლებმა, გურიის მხარის რწმუნებულის მოადგილე **ქეთევან მოისწრაფეშვილმა,** ლანჩხუთის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** და საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძემ** დაათვალიერეს.

დავით შარაშიძემ საკრებულოს წინაშე გაწეული მუშაობის ანგარიში წარადგინა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა **დავით შარაშიძემ** საკრებულოს წინაშე 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში წარადგინა.

შეაჯამა მერიის ყველა სამსახურის მუშაობა. ისაუბრა სამომავლო გეგმებსა და ინიციატივებზე სოციალური და ინფრასტრუქტურული მიმართულებით.

ლანჩხუთის მერს პორტუგალიელი და უკრაინელი ახალგაზრდები შეხვდნენ

Erasms+ პროგრამის ფარგლებში პორტუგალიელი და უკრაინელი ახალგაზრდები ლანჩხუთის მერის მრჩეველთა საბჭოს წევრებსა და ლანჩხუთის მერს **ალექსანდრე სარიშვილს** შეხვდნენ.

სტუმრები მერის მრჩეველთა საბჭოს მუშაობას გაეცნენ.

ლანჩხუთის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა მხარდაჭერა აღუთქვა მათ და წარმატებები უსურვა.

შეხვედრა პროექტ **Learning to Act** ფარგლებში განხორციელდა.

ლანჩხუთში შიდა გზების მოწესრიგებას 3 მილიონი ლარი მოხმარდება

რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 3 მლნ ლარი შიდა გზების მოწესრიგებას მოხმარდება.

ამჟამად სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფელ ლესაში მიმდინარეობს. რკინიგზის სადგურთან მისასვლელ 650 მ გზაზე ასფალტის საფარი იგება.

სამუშაოები ლანჩხუთის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** და საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძემ** დაათვალიერეს.

გოგოლესუბანში შიდა გზების რეაბილიტაცია დაიწყო

სამუშაოები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა **დავით შარაშიძემ** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მოინახულა.

განახლდა 1,7 კმ სიგრძის მონაკვეთი. სამუშაოებს ასრულებს კომპანია "Georgian Build" და მისი ღირებულება 288 885 ლარია.

გია ებრალიძეს „ქართული სამართლის ვარსკვლავის“საპატიო აღმატებული ტიტული მიენიჭა



გურიის ყოფილ ვიცე -გუბერნატორს **გია ებრალიძეს** „ქართული სამართლის ვარსკვლავის“ საპატიო აღმატებული ტიტული მიენიჭა.

—დამოუკიდებელი ქართული სა-ხელმწიფოს მშენებლობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული პიროვნული წვლილისათვის,მაღალი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის, პატიოსნებისა და კანონმორჩილებისათვის: გია ებრალიძეს იუსტიციის უფროს მრჩეველს, ყოფილი ხელმძღვანელ მუშაკს გენერალურ პროკურატურაში, საერთო სასამართლოების სისტემაში, გურიის მხარის გუბერნატორის ყოფილ მოადგილეს, ღირსების ორდენის კავალერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქეს, დოქტორს, პროფესორს,

მიენიჭოს „სამართლის ვარსკვლავის“ საპატიო აღმატებული ტიტული.

2-გია ებრალიძეს შესაბამისი დიპლომი გადაეცეს საზეიმო ვითარებაში

3-პროფესორ თინათინ წერეთლის სახელობის საქართველოს სისხლის სამართლის ეროვნულ ცენტრში გაიხსნას გია ებრალიძის ვარსკვლავი.—წერია დაგენილებაში.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია ულოცავს ბატონ გია ებრალიძეს საპატიო ტიტულის მინიჭებას.

საინფორმაციო შეხვედრა სოფელ ამაღლების საჯარო სკოლაში

გენდერული ძალადობის აღმოფხვრის 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში, მერიის თანამშრომლებმა, სოფელ ამაღლების საჯარო სკოლაში, საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

შეხვედრას უძღვებოდნენ მერის თანაშემწე **მაია პაიჭაძე** და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი **ნინო კაპანაძე**.

განიხილეს გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ მოქალაქეთა ჩართულობის აუცილებლობა, ქალთა გაძლიერების სოციალური პროგრამები; ბავშვებისა და ოჯახების მხარდამჭერი პროგრამები.

დასასრულს მონაწილეებს საინფორმაციო მასალები გადასცეს.

„ჩვენ ვმუშაობთ კლიმატთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად“

კაჭრეთში, კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კატასტროფის რისკების შემცირების შესახებ სათემო ფორუმი გაიმართა.

დაგეგმვისათვის. როგორ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია მოსახლეობას, რომ არ შევქმნათ პანიკა, ეს იყოს მართებული და კორექტული. მედიასთან მუშაობას ვაგრძელებთ და ვცდილობთ ავამაღლოთ მედიის წარმომადგენლთა ცნობიერება კლიმატის ცვლილებაზე და ზოგადად კლიმატური საფრთხეებით გამოწვეული სტიქიური მოვლენების რისკების შესახებ.

—რას გვეტყვით კაჭრეთში გამართული ფორუმის შესახებ.

— კაჭრეთში შევიკრიბეთ წლიურ შემაჯამებელ შეხვედრაზე. სათემო ფორუმს ესწრებოდნენ ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტის მესვეურები, სხვადასხვა ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები, ახალგაზრდები, სკოლები, უნივერსიტეტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ადგილზე მუშაობენ და აქვთ ცოდნა, გამოცდილება. რეალურად შევაჯამეთ, რა გავაკეთეთ და რას ვგეგმავთ მომავალში, რომ საქართველოში მაღალი რისკის ზონებში მცხოვრები მოსახლეობის და მუნიციპალური სამსახურების შესაძლებლობები გაძლიერდეს და ამ კატასტროფული მოვლენებით გამოწვეული ზიანი და ზარალი შემცირდეს. ჩვენი პროექტის მიზანია საქართველოს მოსახლეობა უკეთ მომზადებული შეხვდეს კლიმატური საფრთხეებით გამოწვეულ სტიქიურ მოვლენებსდა.

— კლიმატის ცვლილებების რა რისკები და საფრხეებია გურიაში...

—ჩვენი პროექტის პარტნიორია გარემოს ეროვნული საგენტო, რომელმაც ჩაატარა საკმაოდ სერიოზული საველე სამუშაოები და მათ ახალი, თანამედროვე მეთოდოლოგიით მომამზადეს ამ საფრთხეების რუკები. პირველი, რომელიც მათ შეისწავლეს, იყო მდინარეების **პინტრიშის, სუფსის** და **ნატანების** აუზები. როგორც ირკვევა, ყველაზე დიდ საფრთხეს წყალმოვარდნები, ღვარცოფები და მეწყერი წარმოადგენს.

თუმცა აქ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ არ ვსაუბრობთ მხოლოდ ერთ საფრთხეზე, რადგან მეწყერმა შეიძლება გააქტიუროს წყალმოვარდნის რისკი და ან პირიქით...აქაც გარკვეული საერთაშორისო პრაქტიკით მიღებული მეთოდოლოგიით ხდება ამ ინფორმაციის დამუშავება და ყველა მდინარის აუზში გვექნება მრავალმხრივი საფრთხის შემცველი რუკები. ამ რუკებზე დაყრდნობით ჩვენ სწორად დავგეგმავთ რა პრევენციული თუ სარეაბილიტაციო ღონისძიებები იქნება გასატარებელი კონკრეტულ ადგილებში რომ ადგილობრივი მოსახლეობა მათი საარსებო გარემო და კრიტიკული ინფრასტრუქტურა უკეთ დაცული იყოს.

—რამდენად შესაძლებელია, ჩაერთოთ მდინარების აუზებში მიმდინარე მწვავე პროცესებში. ამ შემთხვევაში მდინარე სუფსისა და ნატანების აუზში სასარგებლო წიაღისეულის უკონტროლო მოპოვების შესამცირებლად.

— პროექტი არ გულისხმობს ამ მიმართულებით პროცესებში ჩართვას ან შეზღუდვების დაწესებას. ეს არ გახლავთ პროექტის მანდატი. მაგრამ, როცა ჩვენ დავიწყებთ აუზების დონეზე კლიმატური რისკების მართვის დაგეგმარების პროცესს, აქ აქტიურად ჩაერთვება მოსახლეობა და დაინტერესებული მხარეები. შესაბამისად, ყველა ის პრობლემა, რაც მოსახლეობას აწუხებს, იქნება გათვალისწინებული.

ძალიან მნიშვნელოვანია საადაპტაციო და პრევენციული ღონისძიებების სწორად დაგეგმვა. აქ არ არის საუბარი მარტო ნაპირდაცვით ღონისძიებებზე, რომელიც მოსახლეობას იცავს სერიოზული საფრთხისაგან. ასევე მნიშვნელოვანია არასტრუქტურული მნიშვნელობის საადაპტაციო ღონისძიებები. პირველ რიგში ეს გახლავთ ცოდნა, მოსახლეობის და მუნიციპალური სამსახურების ინფორმირებულობა. მაგრამ ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სხვა ტიპის პრევენციული ღონისძიებების გატარება, მაგალითად როგორიცაა ბიოინჟინერული ან აგროსატყეო სამუშაოები.

მაგალითად, გვაქვს სიტუაცია, როცა მდინარე აქტიურად რეცხავს ნაპირს, იკარგება მიწა. აქ შეიძლება ჩატარდეს შესაბამისი დაგეგმვით აგროსატყეო სამუშაოები, ანუ კონკრეტულ ადგილას დაირგოს ისეთი ნარგავები, რომელთაც აქვთ ღრმა ფესვთა სისტემა, რომელიც დაგვეხმარება იმ მიწის შენარჩუნებაში. ამავე დროს ისეთი ნარგავები უნდა შეირჩეს, რომელიც ეკონომიკურ სარგებელსაც მოიტანს.

—როგორია სამომავლო გეგმები?

— სამომავლოდ ყველა კვლევა დასრულებული იქნება და თერთმეტივე მდინარის აუზისთვის დასრულდება საფრთხეების რუკების მომზადება და ამაზე დაყრდნობით მაღალი რისკის ზონების გამოვლენა, სადაც უფრო ინტენსიური სამუშაოები ჩატარდება, და რაც მთავარია ადრეული გაფრთხილების სისტემაც იმუშავებს. ჩვენი პროექტი დაიწყო დასავლეთ საქართველოს აუზების შესწავლით და ეტაპობრივად აღმოსავლეთისკენ მივდივართ.

პარალელურად ინტენსიურად ვმუშაობთ კლიმატთან დაკავშირებით ცნობიერების ასამაღლებლად მთელი საქართველოს მასშტაბით. გვყავს არაერთი სამიზნე კატეგორია —ბავშვები, ახალგაზრდები, „კლიმატის ელჩები“, მწვანე ბანაკები, მასწავლებლები, ვატარებთ კონკურსებს და ა.შ. ამ მიმართულებით პროექტის პარტნიორია გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგენტო - „გარემოს დაცვის ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“, რომელიც აქტიურადაა ჩართული შესაბამისი სამუშაოებში.

ესაუბრა

ნუგზარ ასათიანი

„ბასილას წყაროს“ ზეიმი სოფელ მთისპირში

ალიონი. სოფელ მთისპირში, აქაურებმა განახლებული „ბასილას წყარო“ გახსნეს. ამ წყაროს კეთილმოწყობის სამუშაოები, სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსებით განხორციელდა (ინდ. მეწარმე მ. კურდღელაშვილი).აღნიშნულ პროექტზე 8 837 ლარი დაიხარჯა.

სოფლის წყაროების ისტორიის შესახებ, 92 წლის **ნოდარ თალაკვაძეს** ვესაუბრეთ. ბატონი ნოდარი ამ სოფელში დაიბადა და ცხოვრების უმეტესი წლები აქ ცხოვრობდა. იგი ავტორია წიგნისა „ჩემი ლამაზი სოფელი“.

—„ სოფელში საკმაოდაა წყაროები. „ბასილას წყარო“ ერთ-ერთი პოპულარული წყარო იყო და არის ამ სოფელში. მთისპირი-ასკანას ცენტრალური გზის პირას მდებარეობს, კლდიდან მორაკრაკე, ეს ანკარა წყარო. გადმოცემით ვიცი, რომ ამ უბანში ცხოვრობდა ვინმე ბასილა, რომლის სახელს ატარებს ეს წყარო. მას ზამთარ-ზაფხულ, ერთი ტემპერატურა აქვს.

ქვიშნარას გორიდან კიდევ ორი წყაროს წარმომავლობას ასახელებენ. მთისპირის ცენტრთან ახლოს, სადაც თალაკვაძეები, ინწკირველები, ნაჭყებიები, ჟღენტები ცხოვრობდნენ, „ლავროსის წყარო“ იყო. აუზი გათლილი ქვებით იყო მოწყობილი. „ლავროსის წყაროს“წყალს სოფლის სკოლის მოსწავლეები და კოლმეურნეობის თანამშრომლები იყენებდნენ.

გოგოლა შარაშიძის ეზოში იყო წყარო, რომელსაც „მონიკოს წყაროს“ უწოდებდნენ. შემდეგ ეს ადგილი დაიმეწყრა.

„ბასილას წყაროს“ ზემოთ, ვანისქედის გზის დასაწყისში „ნაშენებას წყარო“ არის. იგიც კლდიდან გამოდის. გასული საუკუნის 50-იან წლებში, დავით შარაშიძემ (მყინვარწვერის პლატოზე ააშენა მეტეოსადგური,იყო მთისპირის ბენტონიტური თიხების სამრეწველო წარმოების დაწყების ორგანიზატორი), შესაკრები აუზი გაუკეთა, გვირაბი გაჭრა და შემდეგ, მილებით ოქროსქედის უბნის მცხოვრებლებსაც კი მიეწოდებოდა.

სოფლის ცენტრში (ამჟამინდელი საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე), მდებარეობს „ფერას წყარო,“ რომელიც შემდეგ გერმანე თალაკვაძემ, მილებით გაიყვანა ოქროსქედში და ეს წყაროს წყალი,თვითდინებით მიედინებოდა იქაურ თალაკვაძეებში.

ვანისქედში, იქ სადაც კილურაძეები და ჟღენტები ცხოვრობდნენ, არის წყარო. აკადემიკოს ვანო კილურაძის ბაბუამ მოაწყო და ბებიის პატივისაცემად „ეკვრიტინეს წყარო“ უწოდა.

ასევე ვანისქედში, ჭელიძეების უბანში, ცნობილი „თაფლაურას წყაროა.“ამბობდნენ თაფლივით გემო აქვსო. მახსოვს, პატარა ვიყავი, 40-იან წლებში, ეს წყარო რკინა-ბეტონის აუზით იყო მოწყობილი. თავზე ბეტონის ფილა ეხურა რაღაც წარწერები ჰქონდა, რომელიც შემდეგ ბოლშევიკებმა წაშალეს

ვანისქედში, ყოფილი დაწყებითი სკოლიდან დაახლოებით 300 მეტრში, მცირე ხეობაში,დიდ კლდეში გამოჭრილია წყარო, რომელსაც „ბერძნების წყაროს“უწოდებენ. გადმოცემით ვიცი,რომ აქ, გასული საუკუნის 30-იანი წლებამდე ბერძნის ივანიკა მჭედელი,ს (სავარუდოდ დემეტროვი) ოჯახი ცხოვრობდა.

ვანისქედში (დაბლა ვანისქედში) არის „წაბლნარას წყარო,“„სირაძეების წყარო,“ „ელეფთერის წყარო,“„ნიგზვნარას წყარო,“ „ცივწყარო“ „დათველას წყარო“.“ დიხაშხოზე ნიკოლაიშვილების უბანში, კლდიდან გამოდის წყარო, რომელსაც „საცივს“ უწოდებდნენ. ეს წყაროები ამ სოფლის ისტორიის ნაწილია — გვითხრა ნოდარ თალაკვაძემ.

ოზურგეთის მერიის წარმომადგენელი სოფელ მთისპირში **ვლადიმერ ჩავლეშვილი:** *— სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით გაკეთდა ეს პროექტი. სოფლის ერთ-ერთი ისტორიული წყარო კეთილმოაწყეს. ასევე დაბლა ვანისქედში გაკეთდა მოსაცდელი (7058 ლარი), რაც ძალიან მნიშვნელოვანია სოფლის ამ დაშორებული უბნის მცხოვრებლებისთვის.*

სოფელში დაიწყო გაზიფიცირების სამუშაოები. 2023 წელს უნდა მოხდეს ვანისქედი უკანავს 3,6 კილომეტრი გზის რეაბილიტაცია. ძალიან სასიამოვნოა, რომ ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერებმა ***ავთანდილ თალაკვაძემ*** *და* ***დავით შარაშიძემ*** *ერთობლივი რესურსით გადაწყვიტეს მთისპირი-ბასილეთის გზის რეაბილიტაცია. მთისპირში 1,2 კილომეტრი გზის რეაბილიტაცია მოხდება. ეს არის უმოკლესი გზა ვაკვაკვარი-მთისპირის მოსახლეობისთვის მეზობელ მუნიციპალიტეტში* —გვითხრა ვლადიმერ ჩავლეშვილმა.

„ბასილას წყაროს“ გახსნის ცერემონიალს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების გარდა, სხვა ქალაქებში მცხოვრები მთისპირელებიც დაესწრნენ.

ბესო ცელაძის გახსენება



სოფელი მაკვანეთი გამორჩეული სოფელია მომღერალ გვართა რაოდენობის მიხედვით. მომღერალ გვართა დიდ ოჯახს მიეკუთვნება ცელაძეების გვარი და ამ გვარის ბრწყინვალე წარმომადგენელი **ბესო (ბესარიონ ცელაძე.**

ბესარიონ გლახუნის ძე ცელ-აძე დაიბადა 1912 წელს. მამამისი მესაქონლე კაცი იყო. დედა კი –დიასახლისი.

მე ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, როცა ბესარიონი მაკვანეთის სოფლის გუნდში მღეროდა, რომელსაც ცნობილი ლოტბარი არტემ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობდა. შემდგომ მეც გავხდი ამ გუნდის წევრი და კარგად მახსოვს ბატონ ბესოს გემრიელად ნამღერი ყველა სიმღერა, განსაკუთრებით კი გამოირჩეოდა „ჩემო ნათლი დედაო," ამ სიმღერაში ბესო პირველ ხმას მღეროდა. ეს სიმღერა იმდენად პოპულარული იყო, რომ ფირფიტაზე ჩაიწერეს და ახლაც სიამოვნებით ისმინება.

ბატონი ბესო შესანიშნავი მეოჯახე, მეურნე კაცი იყო. უყვარდა შრომა, საქმიანობა, სიმღერა და საერთოდ იგი ნამდვილად კაი მაკვანეთელი იყო. ვერასდროს ვერ ნახავდი მოუწესრიგებელს, იყო ზრდილობიანი და ყველასათვის საყვარელი ადამიანი. მან შექმნა შესანიშნავი ოჯახი ქალბატონ ვერიკოსთან ერთად. ეყოლათ 4 შვილი. ორი ქალიშვილი –მზევინარი და მანანა და ორი ვაჟიშვილი – თენგიზი და ბესარიონი. ბესოს უფროსი ქალიშვილი მზევინარი კარგი მუსიკოსი იყო. იგი ჯერ ოზურგეთში მოღვაწეობდა, შემდეგ საქართველოს სახელმწიფო კაპელაში მღეროდა. დაამთავრა სახელმწიფო კონსერვატორია. დანარჩენმა შვილები საოჯახო საქმეებით დაკავდნენ და სამეურნეო მოღვაწეობა აირჩიეს, თუმცა სიმღერით ყველა მღერის.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო ბესოს ადამიანური თვისებები და მისი კაიკაცობა. იგი თავის საქმეს დატოვებდა და სხვას მიეხმარებოდა დაუზარელად. იცოდა ხელის შეწყობა და დახმარება.ძალიან უყვარდა მშრომელი ადამიანები, რადგანაც თვითონ იყო მშრომელი და გამრჯე ადამიანი. შრომას და გარჯას კარგად უთავსებდა სიმღერას და კარგადაც მღეროდა. მე მიმღერია მასთან და დამვტკბარვარ მისი ხმით და მისი კაცობით.

ბესარიონი მთელს სოფელს უყვარდა. იგი მოულოდნელად გარდაიცვალა 2000 წელს და გულიანად დაიტირეს. დაკრძალულია სოფელ მაკვანეთში.

ტრისტან სიხარულიძე,
ხელოვნების ქურუმი

„ქართული ქართველთა რწმენაა!"

ალიონი. ახალი თაობა დღეს, როგორც არასდროს, ქომაგად უნდა დაუდგეს ქართულ ენას, რადგან ღვიძლი ენა ერის იდენტობის განსამზღვრელი, მისი გადამრჩენელია. მაშინ, როდესაც ინტენსიური გარე ურთიერთობები, ღია საინფორმაციო სივრცე და ტექნიკური პროგრესი გლობალურ საკომუნიკაციო გარემოს ქმნის და მცირე ერების განვითარებას საფრთხეს უქმნის, ქართული ენაც, შესაძლოა, არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდეს. თუ თავად არ შევიგნეთ და გავითავისეთ ქართული ენის გაფრთხილებისა და გადარჩენის საჭიროება, დავკარგავთ წინაპართაგან ნაანდერძევ საუნჯეს, სხვა ენათაგან გამორჩეულს.

„ქართული ქართველთა რწმენაა!" – ეს სათაური იდეად გასდევდა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ-მხატვრულ კომპოზიციას. **ეკალდიდის** შერწყმული სკოლის სააქტო დარბაზში ლიტერატურულ სალონ „ივერიის" წევრებს საზეიმოდ მოერთოთ. მოსწავლეების ხელით დახატულმა ასო-ნიშნებმა და სახე-სიმბოლოებმა შექმნეს ესთეტიკურად დახვეწილი, ემოციური გარემო.

ღონისძიების მონაწილეებმა ლიკა, ნატა, ლიზა, ლაშა, დიტო, ზალიკო ფუტკარაძეებმა, მარიამ, თაკო, ბექა, თემურ დიასამიძეებმა, მიხეილ ივანაძემ, გიორგი ხილაძემ (ეკალდიდის შერწყმული სკოლა) და სოფელ შრომის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ანა ფუტკარაძემ, ანანო ჯაბუამ, ავთო და ლუკა ხომერიკებმა, თათია გულიაშვილმა, ავთო ჩხიტუნიძემ და თენგო კაპანაძემ ჩანახატებითა და ლექსებით გაამდიდრეს, კომპოზიციურად აკინძეს და შეკრეს ქართული ენისა და ანბანის შექმნის ამბები, გაიხსენეს ის სახენათელი წინაპრები, ხმალამოღებულნი და შემართულნი რომ ებრძოდნენ ენის ხელმყოფთ, მისი მოსპობის მსურველთ. ტკივილით გაიხსენეს 1978 წლის 14 აპრილი, ერისა და ბერის ძალისხმევა ენის გადასარჩენად.

ისიც ითქვა, რომ გარუსების პოლიტიკისაგან თავდაღწეული ქართული ენა დღესაც დგას ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე. ტკბილი ენით შეიარაღებულმა ქართველმა უნდა უშველოს უცხო ენების გავლენისაგან გათითოკაცებულ, დაბნეულ ქართველობას, ღვთითკურთხეული მიწის მიმთვისებელ მოძალადეებსაც მან უნდა გასცეს საკადრისი პასუხი, ერიც დაიცვას და ენაც.

ღონისძიება მოამზადა სკოლის დირექტორმა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **რუსუდან ცეცხლაძემ.** სკოლის მეჩონგურე გოგონათა ანსამბლმა **„ოცნება"**(ხელმძღვანელი ნინო ჩხაიძე) ჩვეული პროფესიული ოსტატობით შეასრულა როგორც ხალხური, ისე ლირიკული სიმღერები.

და ბოლოს, ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიციის ფინალური ნაწილი დაეთმო გმირი უკრაინელი ხალხისა და უკუპაციის მსხვერპლი ბავშვების ხსოვნას. „ოცნებამ" ექსპესიულად შეასრულა „ჩერნობრივცი".

ღონისძიება შეაჯამა ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა **ლელა იმედაშვილმა** და რესურსცენტრის მთავარმა სპეციალისტმა **ნანა ნაცვალაძემ**

მთისპირის და ჩხაკაურას უფროსკლასელებს სან დიეგოს უნივერსიტეტის დეკანი მომავლის პროფესიებზე ესაუბრა

2022 წლის 1 დეკემბერს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს დეკანი, ჰალილ გუვენი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკურას და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირის საჯარო სკოლებს ეწვია. ის გურიაში კომპანია ბახვი ჰესის მოწ-ვევით ჩამოვიდა და ამავე კომპანიის ორგანიზებით დაგეგმილი შეხვედრა ჩაატარა უფროსკლასელებთან (10,11,12), რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეებს ესაუბრა იმ უნიკალურ შესაძლებლობებზე რომელსაც სან დიეგოს უნივერსიტეტი საქართველო სთავაზობს აბიტურიენტებს, მიიღონ ამერიკული განათლება თბილისში.

2020-2021 აკადემიური წლიდან სან დიეგოს სახელ-მწიფო უნივერსიტეტი საქართველო აღარ იღებს სტუდენტების ახალ ნაკადს, მიუხედავად ამისა, პროექტი აგრძელებს არსებობას ახალი ფორმატით. პარტნიორმა უნივერსიტეტებმა უკვე გაიარეს საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვების პროცესი იმ STEM პროგრამებისთვის, რაც გადაეცათ. მათ უკვე დაწყებული აქვთ, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტ საქართველოსთან კოორდინაციით, აღნიშნულ პროგრამებზე სტუდენტების მიღებაც. სან დიეგოს სახელწმიფო უნივერსიტეტი, სამ წამყვან ქართულ უნივერსიტეტთან ერთად - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - აბიტურიენტებს აძლევს შესაძლებლობას დაეუფლონ საერთაშორისოდ აკრედიტირებულ ბაკალავრის ხარისხს მეცნირების, ტექნოლოგიის, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) დარგებში. აღნიშნული პროგრამების შეთავაზებით უნივერსიტეტი მხარს უჭერს როგორც მშენებლობის, მეცნიერების და ტექნოლოგიის სფეროების განვითარებას, ასევე საქართველოს ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესებას და ამ გზით ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

„ჩხაკაურასა და მთისპირში ვიზიტისას ჩვენ მოვიხიბლეთ სწავლას მოწყურებული სტუდენტების, გულმოდგინე მასწავლებლების და სკოლის ადმინისტრაციის ნახვით. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს სახელით, მოხარული ვარ განვაცხადო, რომ მხარს ვუჭერთ ბახვი ჰესის გარემოსდაცვით და სოციალური საკითხების პროგრამას, რომელიც მიმდინარეობის ამ სოფლებში. ჩვენ, ასევე ვაფასებთ იმ წვლილს, რომელიც საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მშენებლობაში შეაქვთ ერთის მხრივ ბახვი ჰესის დირექტორს, გიორგი აბრამიშვილს და მეორეს მხრივ CCEH–ის დირექტორს, ბატონ მიხეილ ნობლაძე, რომელიც ამჟამიულად სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქარ-თველოს საბჭოს წევრია" - განაცხადა სან დიეროს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს დეკანმა, **ჰალილ გუვენმა.**

„ბახვი ჰესის სოციალური პროგრამა საგანმანათლებლო პროექტების მიმართულებას მოიცავს, რომლის ფარგლებში კომპანია ხელს უწყობს და ეხმარება მთისპირისა და ჩხაკურას მკვიდრ სტუდენტებს, რომლებიც უნივერსიტეტში სწავლას გარემოსდაცვით და საინჟინრო მიმართულებებზე აგრძელებენ. სწორედ, ამ პროექტს ეხმიანება სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს დეკანის მოწვევა და გაცნობითი შეხვედრის ორგანიზება მთისპირსა და ჩხაკურაში. მიგვაჩნია, რომ ინჟინერია და გარემოსდაცვა, მომავლის პროფესიებია და გვინდა, ბევრმა ახალგაზრდამ გააკეთოს ამ მიმართულებით არჩევანი. მით უფრო, რომ შემდგომ საუკეთესოებს, ეუნებათ შესაძლებლობა ჩვენთან მუშაობის" – განაცხადა **დავით კობერიძემ,** ბახვი ჰესის გარემოსდაცვისა და სოციალური მართველობის მენეჯერმა.

ბახვი ჰესის საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსებით ამ ეტაპზე ერთი სტუდენტი სარგებლობს, მთისპირის მკვიდრი **ჯაბა ბოლქვაძე.** ის ტექნიკურ უნივერსიტეტში პირველ კურსზეა და სწორედ ინჟინერიის ფაკულტეტზე სწავლობს.

ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალში ანსამბლებმა „შემოქმედი," „რეხეული" გაიმარჯვეს

თბილისში, რუსთაველის თეატრში, საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის დასკვნითი კონცერტი გაიმართა.

ფესტივალში სხვა რეგიონებთან ერთად გურიაში მოქმედი ანსამბლებიც მონაწილეობდნენ, სადაც გამარჯვებულები გახდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული ანსამბლები: „**შემოქმედი**" (ხელმძღვანელი – ლაშა ჩხარტიშვილი) და **„რეხეული"** (ხელმძღვანელი - ფოტინე გორდელაძე)

გამარჯვებულებს მედლები და სიგელები გადაეცათ.

ღონისძიება საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის, ილია II-ის დაბადებიდან 90 და აღსაყდრებიდან 45 წლისთავს ეძღვნებოდა.

ამბავი ილიას მოძღვარ ალექსანდრე ეპისკოპისისა და საქართველოს მომავალი პატრიარქის ლეონიდე ოქროპირიძის გახსენებისა

მამამ მეორე წაგებისას ხმადაბლა, და მაინც, ყველასთვის გასაგონად თქვა: „რა ქნას კარგმა მონარდემა, დროზე შაში თუ არ მოვა".

თქვა, უმცრის ძმას ხელი გაუწოდა და წამოდგა.

ჩემპიონატი გაგრძელდა.

მე „მამაჩემის ლექსზე“ ვფიქრობდი.

არ დაგიმალავთ, „რაა აქ სამარცხვინო“, თუ 10 წლის ბიჭს ყველა პირველად გაგონილი ლექსი მამიმამისეული მეგონა?!

მაგრამ მაინც ვიკითხე:

– ვინ თქვა? – მამამ თავზე ხელი გადამისვა და...

– ილია ჭავჭავაძემ.

„კაცია ადამიანი?!" – კარგად ხნის წაკითხული ჰქონდა მამას.... ზუსტად ვიცოდი იქ ასეთი რამ არ ეწერა...

დიდი დრო დამჭირდა ვიდრე „გლახის ნაამბს“ აღმოვაჩენდი!

სად გვქონდა ახალგამოსული ილიას ორტომეული სახლში?!

ის დღე და კიდევ ერთი კვირა დღე როგორც იქნა, რომ იტყვიან, გადავატარე,ო ორშაბათის 10 საათამდე როგორღაც გავძელი

და ბიბლიოთეკას მივაშურე.

მივაშურე და, აი, იქ მოხდა კიდევ ერთი უპრეცედენტო შემთხვევა ჩემი, როგორც ბიბლიოთეკის „აქტიური მკითხველის ცხოვრებაში": ორი წიგნი ერთდროულად გამომატანეს სახლში!

სხვათაშორის, აზრადაც არ მომსვლია მეკითხა ეს ლექსი რომელ ტომშია (დარწმუნებული ვიყავი ლექსიდან იყო ნაწყვეტი!)- მეთქი. არც ის მახსოვს რა არგუმენტი მოვიტანე ორივე ტომის სახლში წამოსაღებად!

ტომები სახლში მოვიტანე, ორტომეული ხუთჯერ მაინც გადავფურცლე და მხოლოდ მას შემდეგ ვკითხე მამას:

– ორტომეულში რომ არაა?! - მაგარი კაცი იყო მამაჩემი, მიხვდა რა ვკითხე და იმ ღამეს, ლამის (რა ეპიზოდსაც გამოტოვებდა მეც ვიცი და თქვენც) სიტყვა-სიტყვით მომიყვა „გლახის ნაამბობი“.

გრძელი ლირიკული გადახვევა გამომივიდა.

გაგრძელება, დასაწყისი „ალიონი“ №24-32

აღარ გიბოდიშებთ.

რა აზრი აქვს ისეთ მობოდიშებას, რომელიც საბოლოოდ არაა განწირული არ გამეორებაზე?!

„მატიანეს“ კალენდრით 1898 წლის 17 მაისია.

„თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში (ილია) ესწრება ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე) წირვას, რომლის დასრულების შემდეგაც სამღვდელოება საგანგებო ლოცვას აღავლენს გურია-იმერეთის ეპარქიაში ახლადგადაყვანილ ეპისკოპოს ალექსანდრესთვის (ოქროპირიძე). ილია ჭავჭავაძე მას მიმართავს სიტყვით, რომელშიც გამოკვეთს მის დამსახურებებს ერისა და მრევლის წინაშე.“

მაშ ასე. „მატიანეს“ ინფორმაციით ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) 1898 წლის 17 მაისს უკვე გურია-იმერეთის ეპისკოპოსია.

არ დაგვავიწყდეს „1882-1885 წლებში იგი მართავდა გურიის ეპარქიას, ხოლო 1898 წელს სინოდმა უბოძა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსობა“ (ჭიჭინაძე ზ., გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე; ტფ., 1903).

სწორედ ამ დღიდან „მივადევნებთ თვალს“ მღვდელმთავრის ბიოგრაფიის გურულ პერიოდს, თუმცა, უკომენტაროდ გაზეთ „ცნობის ფურცელიდან“ (618. 29.08.1898) ერთი ინფორმაცია, რომ არ მოგაწოდოთ ვერაფრით ვიზამ:

„ეპისკოპოსის წირვა.“

ამ დღესასწაულის (საუბარია ტაძრის დღესასწაულობაზე. გ.კ.) *პატივსაცემლად, მიუხედავად დიდი წვიმისა, 13 აგვისტოს მობრძანდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი* (ხაზგასმა ჩემია) ალექსანდრე, თვისის საკათედრო დეკანოზით, კრებულით და მგალობლებით. ხოპის მონასტრის წინამძღვარს და ძმებს თავის ხელით ჩააბარა, ამას წინათ მისგან შეწირული ერთი ათასი მანეთის ბილეთი მონასტრის სასარგებლოდ.

ტაძრის დღესასწაულობა, ღამის თევით თვითონ შეასრულა: არხიმანდრიტებით, დეკანოზით, მღვდელ მონაზვნებით და სხვა სამღვდელოებით, იმდენი მლოცველები იყვნენ, რომ თითქმის ორ საათს გაგრძელდა მეუფის მიერ წმ. ზეთით ხალხის კურთხევა.

მეორე დღეს 15 აგვისტოს, იმავე სამღვდელოებით შეასრულა სამღვთო ლიტურგია, გარდაიხადა ღვთის მშობლის პარაკლისი მუხლმოდრეკით. კათედრიდგან მხცოვანმა მღვდელ-მთავარმა წარმოსთქვა საგრძნობელი დღესასწაულის შესახებ მოძღვრებმა და ყველა შეავედრა ღვთის მშობლის შემწეობა მფარველობას და აქ მსვენარე წმიდათა ნაწილებს. თუ ის ი არავის არ ახსოვს, ჩვენ დროში, ამ დიდებულ ტაძრის დღეობა ეპარქიის მღვდელთ მთავრებს შეესრულებიოს. ამიტომაც ამ უმაგალითო მოქმედებამ დიდად პატივცემული მღვდელთმთავრისამ განუსაზღვრელი სიყვარული და პატივისცემა გამოიწვია სამეგრელოს საზოგადოებისაგან“.

სამეგრელოშივე უნდა დავრჩეთ.

სენაკიდან ფოთში უნდა გადავინაცვლოთ.

გურიამდე ხელის გაწვდენაა...

ილიას წერილი უნდა გავიხსენო ეპისკოპოს ალექსანდრესადმი მიწერილი.

ქმწკგ საზოგადოების სახელით გაგზავნილი წერილი რუსულ ენაზეა შედგენილი.

ქართული თარგმანი აღებულია ილია ჭავჭავაძის თხზულებანიდან (ტომი XVII, ეპისტოლური მემკვიდრეობა).

1902 წლის აპრილის 4.

ფოთი. ეპისკოპოს ალექსანდრეს!

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და პირადად ჩემი სახელით სასიამოვნო მოვალეობად ვრაცხ, მოგილოცოთ თქვენ, გულწრფელად საყვარელო და დიდადპატივცემულო მოძღვარო, თქვენი დადებითი ღვაწლისა და ნაყოფიერი მოღვაწეობის ორმოცი წლისთავი, თქვენი ძვირფასი ეკლესიისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ი. ჭავჭავაძე“

წერილით არ კმაყოფილდება და „მატიანეს“ ცნობითვე, „მეუღლესთან და დასთან, ელისაბედთან ერთად დეპეშით ულოცავს მღვდელმსახურების ორმოცი წლის იუბილეს ეპისკოპოსის ალექსანდრე ოქროპირიძეს“.

ბიოგრაფიის დროა.

აუცილებლად უნდა გავიხსენოთ/ გავეცნოთ.

„ოფიციალური სახელი: ალექსი დავითის ძე ოქროპირიძე

დაბადების თარიღი: 1824

გარდაცვ. თარიღი: 9 ნოემბერი, 1907 (83 წლის ასაკში)

დაკრძალვის ადგილი: შიომღვიმის მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესია

კატეგორია: პედაგოგი, სასულიერო პირი, ქველმოქმედი

ბიოგრაფია

გამოჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწე მღვდელმთავარი ალექსანდრე (ერისკაცობაში – ალექსი დავითის ძე ოქროპირიძე) დაიბადა 1824 წელს გორის მაზრის სოფელ დისევში იმავე სოფლის მღვდლის ოჯახში. მან სასულიერო განათლება მიიღო, ხოლო 1845 წლიდან ბერად აღიკვეცა.

გორის სასულიერო სასწავლებლისა და თბილისის სასულიერო სემინარიის შემდეგ, 1850 წელს, დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია. იყო მასწავლებელი, შემდეგ — აფხაზეთის არქიმანდრიტი, 1862-1869 - აფხაზეთის ეპისკოპოსი, 1869-1882 - გორის, 1882-1885 – გურიის ეპისკოპოსი, 1886-1898 წლებში – ქართლ-კახეთის ქორეპისკოპოსი, 1898-1903 – გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი. ალექსანდრე ოქროპირიძე გახლდათ ილიას მოძღვარი.

დიდია მისი ღვაწლი, როგორც მისიონერისა, რომელმაც ათასობით აფხაზი მოაქცია ქრისტეს რჯულზე. მანვე ჩაუყარა საფუძველი აფხაზთა სწავლა-განათლების საქმეს.

1863 წელს აფხაზეთის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ თავისი სახსრებით ოჩამჩირეში სკოლა დააფუძნა. საკუთარ სახლში აღზარდა და სასულიერო განათლებას აზიარა აფხაზი ეროვნების ბავშვთა დიდი ჯგუფი, აღადგინა ეკლესია სოხუმში.

იგი იყო „ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, რომელმაც ერთიანად შეიტანა 300 მანეთი და განთავისუფლდა შემდგომი წლების საწევრო გადასახადისაგან.

XX საუკუნის 60-იან წლებში ეპისკოპოსმა ალექსანდრემ თბილისის სასულიერო სემინარიაში, ქალთა და ვაჟთა სასწავლებლებში, რამდენიმე სტიპენდია დაარსა, რისი წყალობითაც მრავალმა ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება. იგი ეხმარებოდა ყაზანის სასულიერო აკადემიის ღარიბ სტუდენტებსაც.

ეპისკოპოსი ალექსანდრე წევრი იყო მრავალი საქველმოქმედო ორგანიზაციისა, რომლებსაც ფინანსურ დახმარებას უწევდა. მათ შორის იყო კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება, წითელი ჯვარი, უსინათლოთა სამზრუნველო, წყალში დახრჩობისაგან მხსნელი საზოგადოება, პირუტყვთა მფარველი საზოგადოება, ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოება, წმ. ანდრიას ძმობა, ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ძმობა, ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ა. შ.

ეპისკოპოსი ალექსანდრე გარდაიცვალა 1907 წლის 22 ნოემბერს და დაკრძალულია შიომღვიმის მონასტერში.

1995 წლის 17 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის კრებამ თავისი განჩინებით ეპისკოპოსი ალექსანდრე წმინდანთა დასში შერაცხა და უწოდა „წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე“. მისი ხსენების დღედ დაწესდა 8 ნოემბერი.

ორგანიზაციის, ასოციაციის ან ჯგუფის წევრი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საზოგადოების დამფუძნებელი წევრი (1879-1907);

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საზოგადოების საპატიო წევრი (1896-1907)“.;

დამეთანხმეთ, საკმაოდ ვრცელი და სრულყოფილი ბიოგრაფიაა და მაინც, როგორც ახლა ვანმობთ „არ მეყო“.

ალექსანდრე „ეპისკოპოსის“ შესახებ ამონარიდი მინდა მოვიტანო ჯენალ გამახარიას სტატიიდან.

სტატიის სრული ვერსია ეროვნული ბიბლიოთეკის ვიკი-ენციკლოპედის შესაბამის გვერდზე იპოვით.

„1881-1886 წლებში ალექსანდრე გურიის ეპისკოპოსია, 1886-1898 წლებში – კვლავ გორის ეპისკოპოსი. 1898 წლის 20 მარტიდან 1903 წლის 4 ნოემბრამდე გურია-სამეგრელოს ეპარქიის მმართველია. 90-იან წლებში მან შეაკეთა და განაახლა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები: შიომღვიმე, ზედაზენი და დავით-გარეჯა. დიდძალი თანხები შესწირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა და საეკლესიო მუზეუმს. ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად დააწესა სტიპენდიები.

ალექსანდრე ღიად დაუპირისპირდა ქართველი ერის გათიშვის, სამეგრელოდან ქართული ენის გამოდევნის იმპერიულ პოლიტიკას, რაც მძაფრად გამომჟღავნდა 1902 წლის აპრილში, როდესაც ეგზარქოსი ალექსი (ოპოცკი), დეკანოზ ი. ვოსტორგოვის თანხლებით, სტუმრობდა სამეგრელოსა და აფხაზეთს ვითომდა ქართულ-მეგრულ ენებს შორის განსხვავების შესასწავლად. თბილისში დაბრუნებულმა ეგზარქოსმა უწმინდეს სინოდის ობერ-პროკურორს საიდუმლო წერილი გაუგზავნა, სადაც ნათქვამი იყო, რომ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ღია შეკრებებზე, თავადების თანდასწრებით, რუსი ხალხისა და რუსი ხელისუფლების მისამართით უხამს განცხადებებს აკეთებდა და მოუწოდებდა თავადებს „თავისუფლების დასაცავად“ გაერთიანებისაკენ. 1903 წელს ალექსანდრე სამსახურიდან დაითხოვეს. ფოთის ქალაქისთავმა, ნიკო ნიკოლაძემ, ფოთის საზოგადოებამ და სამღვდელოებამ მას გულთბილი გაცილება მოუწყვეს. გაცილებასთან დაკავშირებული პარაკლისი სიონის საკათედრო ტაძარში ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) გადაიხადა. ტაძარში სიტყვა ილია ჭავჭავაძემ წარმოთქვა. ცხოვრების დარჩენილი წლები მან შიომღვიმის მონასტერში გაატარა.

ალექსანდრე იყო მრავალი საქველმოქმედო საზოგადოებისა და დაწესებულების წევრი, მათ შორის – ქართველთა შორის წერა-კითხის

გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრი. მან საკუთარი სახსრებით გამოსცა ანტონ I კათოლიკოსის „მზამეტყველება“ და „სწორმეტყველება“, ანტონ ნეკრესელის „სიტყვანი და მოძღვრებანი“, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი და ა.შ. მანვე დააფინანსა ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღება.

ალექსანდრე ცდილობდა რუსეთის ეგზარქოსების მმართველობის პირობებში დაკნინებული სამონასტრო ცხოვრების აღორძინებას, ლავრა-მონასტრებში ქართველი ბერების გამრავლებას, სასულიერო განათლების დონის ამაღლებასა და ამ გზით სარწმუნოების განმტკიცებას.”

წარმოგიდგენიათ რა საინტერესო იქნებოდა ილიას სიტყვა?!

სამწუხაროდ ვერსად ვიპოვე...

რასაც დიდი ძებნა არ დასჭირვებია აქაა...

გიო კილაძე
(გაგრძელება იქნება)

ზაზა და ნუკრი ზაქარიაძეები



ძალიან დიდი ტკივილი ჰქონდა ზაქარიაძეებს წელს. ორი საუკეთესო ვაჟკაცი მიიბარა მშობლიურმა მიწამ.

ზაზა ზაქარიაძე თბილისში მოღვაწეობდა. იქედან უმართავდა ხელს ახლობლებს, მეგობრებს. კარგი ოჯახი ჰქონდა. მეუღლე მარინა,–საუკეთესო ქალბატონი. ვაჟი საბა, რომელმაც წელს დაამთავრა სკოლა და უმაღლესისთვის ემზადება.

ნუკრი თავისი საქმის საუკეთესო მცოდნე, წლების მანძილზე სადაზღვევო კომპანიაში მუშაობდა. მეუღლე –შორენა საბანკო საქმის მენეჯერი. ორი შვილი დატოვა –ილატო და ნიკუშა. ორთავეს ლამაზი ოჯახი აქვს. 4 შვილიშვილი – ბაბუას საამაყონი.

რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ ორთავენი ნაადრევად დაგვშორდნენ: ზაზა 60 წლის, ნუკრი 62 წლის.

უფალმა ნათელში ამყოფოს მათი სულები.

ბიძაშვილები.

მადლობა სამედიცინო პერსონალს

ასაკოვანი ვარ. ცუდად გავხდი. ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკაში მომათავსეს. ყველა საჭირო დახმარება გამიწიეს. მინდა მადლობა გადავუხადო ექიმებს **ნანა ყაჭეიშვილს, ტიტე მგელაძეს, ნესტორ თოიძეს;** ექთნებს **ნონა ვაშალომიძეს, ნატალია ქუტიძეს;** სანიტრებს: **სოფო ანდღულაძეს, ნინო ჩოგაძეს**.

ლამარა ფრანგულაშვილი,
ქ. ოზურგეთში წმინდა გიორგის ქუჩის №45-ში მცხოვრები.

გემრიელი კაცი

ბატონ ზაურ გაბრიჩიძეზე სათქმელს რომ ერთი საგაზეთო წერილით ვერ ამოვწურავ, ეს კარგად ვიცი, მაგრამ, ჩემი მხრივ, უთქმელობაც და დაუწერლობაც არ ეგების, დანაშაულის ტოლფასი იქნება, რადგან: ჩვენი ორმოცდაოთხწლიანი ურთიერთობიდან, რომელიც 1978 წელს ჟურნალ „სუბტროპიკულ კულტურების“ რედაქციაში გაცნობით დაიწყო და მერე მეგობრობით გაგრძელდა, ჩემს თვალსაწიერში არ ჩანს ასეთი, ყველა ადამიანური ღირსებით შემკული სხვა პიროვნება.

საუბრისას, თავისი მდიდარი ლექსიკით, უბადლო მეტყველებით, დამაჯერებელი, ოდნავ შესამჩნევი იმერული მანერით, ხმის აუწეველი, გამოზომილი ტონალობით, აზრის ლაკონიურად გადმოცემით, თითქოს სხვა სითბოს ასხივებდა, გიზიდავდა, სიკეთედ იღვრებოდა; წერაც ასეთივე იცოდა, ვერ ვიხსენებ მის ისეთ სამეცნიერო სტატიასა თუ საინფორმაციო წერილს, რომელშიც რედაქციის რომელიმე მუშაკს თუნდაც კორექტურული შეცდომა აღმოეჩინოს. ჟურნალისტისთვის ინფორმაციის „თავში ჩამდები“ რესპოდენტი იყო.

სოფლის მეურნეობის დარგის ავტორიტეტული სპეციალისტებისგან ვიცი, რომ მისი სამეცნიერო ნაშრომები ღრმა და ფართო დიაპაზონისა იყო, ეი ისეთი, მეცნიერებასა და წარმოებას შორის „ხიდის გამდებს“ რომ ეძახიან. თეორიისა და პრაქტიკის შერწყმის კოლეგიალური დიდოსტატი გახლდათ. იშვიათობა იყო და იშვიათობაა დღესაც ასეთი აკურატულად გამორჩეული, ფუტკარივით მშრომელი მეცნიერი და მეურნე.

ცალკე თემაა ბატონი ზაურის დამოკიდებულება ახალგაზრდა მკვლევარებთან. მრავალმხრივი საქმიანობით დაკავებულ, მოუცლელ კაცს დროის ფასი ავიწყდებოდა მათთან მუშაობისას. ახალგაზრდებთან ერთად დაწყებული კვლევის წარმატებით დამთავრებისას კი, მასზე ბედნიერი არავინ იყო. იშვიათია „ოსტატსა და შეგირდებს“ შორის ასეთი ურთიერთპატივისცემა და სიყვარული.

რაც შეეხება ზაურ გაბრიჩიძისა და ჯილდა ლოლაძის სტუდენტობის პერიოდში, სიყვარულით შექმნილ დიდებულ ოჯახს, სხვა რა უნდა ვუწოდო თუ არა იდეალური! კეცი გვარზე ხტისო და შვილების ოჯახებიც, უპირველესად, ამ ნიშნით გამოირჩევა.

მტკიცეკაცი იყო ბატონი ზაური. არ გატეხილა მაშინაც, როცა წუთისოფელმა უმუხთლა და ვაჟიშვილი, ყველა ოზურგეთელისთვის საყვარელი და ძვირფასი პიროვნება შალვა (შუქრი) გაბრიჩიძე გამოაცალა ხელიდან. დაკრძალვის დღეს, მწუხარებით უკიდურესად დამსწრე საზოგადოებას უჩვენა თუ როგორ უნდა „ჭირსა შიგან გამაგრება“. რაც შეეხება სიტყვას, რომლითაც მან თავისი შვილი გააცილა ზეციურ საუფლოში, ეს იყო მანამდე გაუგონარი, ლამაზად შვილის აღმზრდელი და ამ შვილით ამაყი მშობლის სულიდან ამონახეთქი, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება. აფერუმ ბატონი ზაურის მამობას!

ბედნიერებაა გყავდეს ასეთი მეგობარი, თანამშრომელი და მეზობელი! - ასეთია ამ მოკლე წინადადებაში ნახსენები, მრავალი ადამიანისგან შემდგარი სამეულის აზრი ბატონი ზაურის შესახებ.

დიდი ხანი არ არის გასული, რაც ზაურ გაბრიჩიძემ სამარადუამოდ „დიდ სოფელში“ გადაინაცვლა. ანასეულმა, ოზურგეთმა და მშობლიურმა ტყიბულმა კი არა, მთელმა საქართველომ იცის, რა დონის მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და როგორი პიროვნება დაკარგეს. ამიტომაც მიაგეს სათანადო პატივი, ყვავილების მდინარით გააცილეს იგი, სამსახურმა - ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათისა და მცენარეთა ინტეგრირებული დიაგნოსტიკურისცენტრმა - „ანასეულმა“ კი, წიგნის ფორმის ძვირფას ქვაში აამეტყველა მისი პორტრეტი, რომლის ფუძეზე, დღიდან დადგმისა, არ ქრება მარადიული ხსოვნის სანთელი.

ისეთ სრულყოფილ პიროვნებას, როგორიც ბატონი ზაურ გაბრიჩიძე გახლდათ, ჩვენში გემრიელ კაცს ეძახიან და მეც ამ მომცრო წერილის სათაურად „გემრიელი კაცი“ ვარჩიე, რადგან ეს ორი სიტყვა, ჩემი აზრით, ყველაზე მორგებულია ამ დიდებული კაცისათვის.

ნათელში იყოს!

თემურ მარშანიშვილი.

სკანვორდი



პასუხები:

ალ. ალ ადგილზე ავლილან; ალბალი ადიდიდოდ ადგარმოდ; ალბალი ალბალი ალბალი; ალბალი ალბალი ალბალი; ალბალი ალბალი ალბალი

ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის დამარცხების შემდეგ (1906-1907 წწ.)



ეს არის არა უმეტესი დღევანდელი მაზრის ტერიტორიისა. აქ საუბარი ეკლესიის კეთილდღეობაზე ისტორიის საწინააღმდეგოდ გასაკ-ვირია, მით უმეტეს, სურვილი ეკლესიის იმგვარ წესრიგზე დაბრუნებისა, როგორიც მაშინ იყო(...). რუსეთთან შეერთებისას საქართველოს ეკლესიის მართვის თაობაზე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ 1817 წლამდე ეგზარქოსები იყვნენ ქართველები და, მაშასადამე, ყველაფერი, რაც უწმიდესი სინოდის მიერ გაკეთებულა საქართველოს მართვის საქმეში ადრინდელი სისტემის შეცვლისათვის, კეთდებოდა თვით ქართველი მღვდელმთავრების თანხმობით. 1817 წლიდან დაიწყეს რუსი ეგზარქოსების დანიშვნა".

ეპისკოპოსი **კირიონი** შეეცადა პოლემიკაში ჩართულიყო და ეპისკოპოს სტეფანეს მიერ მოყვანილი ფაქტები გაექარწყლებინა. ეპისკოპოს კირიონის განმარტებით, ყოვლადსამღვდელო სტეფანე ცდებოდა, როდესაც აცხადებდა, რომ თვით ქართველები ზრუნავდნენ რუსი ეროვნების ეგზარქოსების დანიშვნაზე. უსამღვდელოესი სტეფანე პოლემიკაში ჩაერთო და ამ საკითხის გადასაჭრელად საბუთებისა და დოკუმენტების შეგროვება მოითხოვა, რათა მათზე დაყრდნობით გამოერკვიათ, თუ ვინ ზრუნავდა ქართველი ეგზარქოსების რუსებით ჩანაცვლებაზე და რა მოტივით იყო გამოწვეული ასეთი ცვლილებები. თუმცა მას თათბირზე მოუწია განემარტა, რომ 1817 წლამდე საქართველოში ქართველი ეგზარქოსები კი არ იყვნენ, არამედ იყო ერთადერთი ქართველი ეგზარქოსი დავითი(ერისთავი).მის მიერ წინასწარგანზრახვით თუ უნებლიედ დაშვებული შეცდომა ეპისკოპოსმა ასე გამოასწორა: "როცა ვსაუბრობდი, რომ 1817 წლამდე ეგზარქოსები იყვნენ ქართველები, მე ვიგულისხმე დროის ხანგრძლივობა და არა პირთა რაოდენობა". ეპისკოპოსმა სტეფანიმ კვლავ განაგრძო ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების კრიტიკა. მასში მოყვანილი ფაქტები მან ცილისწამებად შერაცხა. რუსი მღვდელმთავრის აზრით, ცილისწამება იყო ისიც, რომ თითქოს რუსი ეგზარქოსები საეგზარქოსოს მართავდნენ მათთვის მისაღები პირების დახმარებით. ეპისკოპოსი სტეფანი ამტკიცებდა, რომ იგი იყო თვითმხილველი იმისა, თუ როგორ იმართებოდა საეგზარქოსო და ადასტურებდა იმას, რომ არანაირი დამხმარე პირები ეგზარქოსებს არ ჰყავდათ. მაგალითად მოჰყავდა საქართველოს ეგზარქოსები: **ისიდორ ნიკოლსკი(1844-1858), იოანიკე რუდნევი (1877-1882) და პალადი რაევი (1887-1892).** ეს ეგზარქოსები, რუსი მღვდელმთავრის აზრით, პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდნენ საქართველოში. ეპისკოპოსი სტეფანი მიიჩნევდა, რომ ქართველებმა ვერ შეიყვარეს ეგზარქოსი **პაველ ლებედევი(1882-1887)** მისი სიმკაცრის გამო. რუსი მღვდელმთავრი მიიჩნევდა, რომ ეგზარქოსი პაველი თავისი მოღვაწეობით ყველასაგან გამორჩეოდა და შეუძლებელი იყო, მასზე რაიმე სახის ზეგავლენა მოეხდინა მასთან დაახლოებულ პირთაც კი. ეპისკოპოსმა სტეფანემ მოსთხოვა გორის ეპისკოპოს ექვთიმეს, გაეხსენებინა საქართველოში ეგზარქოსების მმართველობის პერიოდი და ნათელი მოეფინა სიმართლისათვის.გორის ეპისკოპოსი **ექვთიმე ელიაშვილი** (1905-1909) რუსებს შემთხვევით არ აურჩევიათ, იგი საეკლესიო კრების წინარე თათბირზე მერყეობდა და საბოლოოდ მხარი არ დაუჭირა ეპისკოპოსებს კირიონსა და ლეონიდს.ეპისკოპოს სტეფანეს მოთხოვნის შემდეგ ექვთიმე ელიაშვილმა აღნიშნა, რომ ეგზარქოსი **ფეოფილაქტ რუსანოვი** (1817-1821) და მომდევნო ეგზარქოსები დამოუკიდებლად მართავდნენ თავიანთ სამწყსოს. ქართველი მღვდელმთავარი სიყვარულით იხსენებდა ეგზარქოს ისიდორს (ნიკოლსკის) და ახასიათებდა მას, როგორც ქველმოქმედს, მრავალი ეკლესიისა და მონასტრის დამფუძნებელს და განმაახლებელს. ეპისკოპოსი ექვთიმე დადებითად ახასიათებდა საქართველოს ეგზარქოსებს: ევსევის (ილინსკის), იოანიკეს (რუდნევს), პაველსა (ლებედევსა) და პალადის (რაევს). თუმცა, ეპისკოპოს ექვთიმეს თქმით, გამონაკლისი იყო ეგზარქოსი ევსევი, რომელმაც საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში დაიახლოვა დეკანოზი **ბასხაროვი**. საზოგადოება უკმაყოფილებას გამოთქვამდა როგორც ბასხაროვის, ისე ევსევის მიმართ, რის გამოც რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდს საჩივრითაც მიმართეს. ამ საჩივრებისა და სხვა უცნობი მიზეზების გამო სინოდმა მალევე გასცა განკარგულება საქართველოდან ევსევის გადაყვანის თაობაზე.

ყოვლადსამღვდელო კირიონმა აღნიშნა, რომ საქართველოს ეგზარქოსმა ფეოფილაქტმა (რუსანოვმა) ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნის დროს ფიცხი და ამავე დროს სუსტი ხასიათი გამოავლინა. მას ჰქონდა არასასიამოვნო ურთიერთობა რუსეთის ეკლესიის ბევრ მღვდელმთავართან. მაგალითად, მოგილიოვის მთავარეპისკოპოს ვარლაამს მისი წარდგინებით ჩამოართვეს სამღვდელმთავრო ხარისხი; სმოლენსკის ეპისკოპოს ირინეოს ფალკოვსკისთან მტრული ურთიერთობის გამო ფეოფილაქტი იძულებული გახდა, უარი ეთქვა თავის კათედრაზე და გადასულიყო კიევში. რუსეთში ფეოფილაქტ რუსანოვი ვერ შეეგუა მიტროპოლიტ ფილარეტს, რის გამოც იგი გადაიყვანეს კავკასიაში, სადაც კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მმართველი იყო მექრთამეობით ცნობილი მისი ღვიძლი ძმა. ეპისკოპოსი კირიონი შეეხო თბილისის რუსულ სასულიერო სემინარიას. მისი თქმით, საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე იყო ორი სემინარია, რუსეთთან შეერთების შემდეგ ისინი დახურეს. მართალია, 17 წლის შემდეგ გახსნეს, მაგრამ მხოლოდ ერთი და ისიც რუსული.

ეპისკოპოსი კირიონი შეეცადა გამოხმაურებოდა ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაში აღნიშნულ ფაქტებს, რომლებიც საქართველოს ეკლესიის დაცემას ეხებოდა. მისი აზრით, ეკლესიის დაკნინებაზე არა მხოლოდ ეპისკოპოსი ლეონიდი ჩიოდა, ეკლესიის სავალალო მდგომარეობაზე საუბარი იყო უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის ანგარიშებშიც. ქართველი მღვდელმთავრის განცხადებას ყველა არ დაეთანხმა. პროფესორი **ტიმოფეი ბუტკევიჩი** მიიჩნევდა, რომ ეკლესიის დაკნინება მოხდა ყველგან – ევროპაშიც და რუსეთშიც. საქართველოში კი რწმენის შესუსტებას იგი ქართველი სამღვდელოების უსაქმურობით ხსნიდა, რომლებმაც ვერ გამოიჩინეს სიმტკიცე. პროფესორი ბუტკევიჩი საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი მთლიანად პოლიტიკურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული.

მეორე განყოფილებაში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვამ განკითხვის სახე მიიღო. თავად რუს პროფესორთა და სამღვდელოთა შორისაც აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. პროფესორ **ივან სოკოლოვს** (1865-1939) მიაჩნდა, რომ იმ საკითხის გადასაჭრელად, რომელიც საქართველოს ეკლესიას და ქართველ ხალხს აწუხებდა, არ იყო საჭირო საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ჩაღრმავება. მისგან განსხვავებით, პროფესორებისა და სამღვდელოების უმრავლესობა დაჟინებით მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის რუსეთის შემადგენლობაში შესვლამდელი პერიოდის განხილვას, ნაწილი პროფესორებისა ითხოვდა საქართველოში სამეფო დინასტიის არსებობისდროინდელი ვითარების შედარებას საეგზარქოსოს პერიოდში არსებულ ვითარებასთან, თუმცა რამდენად გადაწყვეტდა ეს შედარება ავტოკეფალიის საკითხს, გაურკვეველი იყო. ერთადერთი ისევ პროფესორი სოკოლოვი აღმოჩნდა, რომელიც არ დაეთანხმა კოლეგების მოთხოვნას. რუსი პროფესორის აზრით, წარმოუდგენელი იყო სამეფო დინასტიის არსებობისდროინდელი ვითარების შედარება საეგზარქოსოსდროინდელ ვითარებასთან. პირველ შემთხვევაში ეკლესია დამოუკიდებელი იყო და მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა ალბათ იმას, რომ ერთ დღეს საქართველო რუსეთის შემადგენლობაში შევიდოდა. ეგზარქოსობის პერიოდში საქართველოს ეკლესიას უკვე აღარ ჰყავდა კათოლიკოსი. ამიტომ ეს ორი ეპოქა (სამეფო დინასტიისა და საეგზარქოსოს არსებობის პერიოდები) თავისი არსით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავდებოდა. ცხადი იყო, რომ მარტო პროფესორ ივან სოკოლოვის მოსაზრება დამსწრეთ აზრს ვერ შეაცვლევინებდა. ყოვლადსამღვდელო კირიონი იძულებული გახდა, სხდომის მონაწილეთათვის შეეხსენებინა საქართველოს ეკლესიის არსებობის ხანგრძლივობა. მისი ერთი ფრაზა: "ჩვენ რა უფლება გვაქვს, ძალა გამოვიყენოთ საქართველოს ეკლესიის მიმართ, რომელიც ექვსი საუკუნით უფროსია რუსეთის ეკლესიაზე?" – თითქოს საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ რუს მეცნიერებსა და სამღვდელოებას დაეთმოთ საკუთარი პოზიციები. მოხდა პირიქით. საბოლოოდ, ყოვლადსამღვდელო კირიონმა სხდომას შესთავაზა, რომ ემსჯელათ საქართველოს ეკლესიის მმართველობის სინოდალურ პერიოდზე (1811 წლიდან). რუსი პროფესორები დიდი დაჟინებით ითხოვდნენ საჭირო ცნობების შეგროვებას საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან. ისინი თითქოს ხელჩასაჭიდ არგუმენტებს ეძებდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების უარყოფისათვის.

ეპისკოპოსმა სტეფანემ კვლავ განაგრძო ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების განხილვა და მასში მოყვანილი ფაქტების სიცრუედ გამოცხადება. მისი აზრით, სიმართლეს არ შეეფერებოდა შემდეგი ფაქტები: 1. საქართველოს ტაძრებში წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე აღვლენა; 2. ყოველგვარი ქართულის დევნა და შევიწროება. ეპისკოპოს სტეფანეს თქმით, საქართველოს ეპარქიებში ქართველი სასულიერო პირები ღვთისმსახურებას ყველგან ქართულ ენაზე აღასრულებდნენ. რუსი ეპისკოპოსის აზრით, არაქართულ სამრევლოებში მომსახურე ქართველი სასულიერო პირები ნაკლებად ზრუნავდნენ არაქართველი მოსახლეობის ეროვნული ინტერესების დაცვაზე. ეპისკოპოსმა სტეფანემ დაასახელა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქართველები თვითონ ითხოვდნენ ქართველი მღვდლებისაგან საღვთო ლიტურგიის სლავურ (რუსულ) ენაზე აღვლენას. მისი გამოსვლიდან გამომდინარე, ქართული ენისა და ქართველი სამღვდელოების დევნის თაობაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო. ეპისკოპოს სტეფანეს კიდევ ერთი ბრალდების თანახმად, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში ფრესკები შეთეთრებული იყო ქართველი სამღვდელოების სურვილით. სწორედ ქართვე-ლი სასულიერო პირები იყვნენ დამნაშავენი სიძველეებისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამოვლენაში. ერთადერთი ადამიანი, ვინც ამ დიდ სიცრუეს დუმილით ვერ შეხვდებოდა, ისევ ყოვლადსამღვდელო კირიონი იყო. ბრალდებებს ისევ ქართველმა მღვდელმთავარმა უპასუხა. მისი აზრით, ქართული ენის დევნის პირველი დამადასტურებელი ფაქტი იყო საეკლესიო მსახურების აკრძალვა სასაფლაოს ეკლესიებში. რაც შეეხებოდა ეკლესია-მონასტრებს, აქ ეს პროცესი შედარებით ნელი ტემპით წარიმართა. მაგალითად, სიონის საკათედრო ტაძარში სამი დღე მსახურება ქართულად აღესრულებოდა, სამი დღე – ძველ სლავურად (რუსულად), საუფლო დღეებში კი წირვა-ლოცვა ყოველთვის ძველ სლავურ (რუსულ) ენაზე ტარდებოდა. ქართველმა მღვდელმთავარმა აღნიშნა, რომ სვეტიცხოვლის ტაძარი ეგზარქოს ისიდორ ნიკოლსკის მოღვაწეობის დროს (1844-1858 წწ.) შეთეთრდა. ეპისკოპოს კირიონის აზრით, პირველი დანაშაული ეგზარქოსებისა ის იყო, რომ მათ დახურეს საეკლესიო კათედრები და მონასტრები. თუკი ერთ მონასტერში ერთი ბერი მაინც იქნებოდა, საეკლესიო წესრიგი არ დაირღვეოდა. თუმცა ეგზარქოსები, როდესაც მონასტრებს ხურავდნენ, ამაზე ნაკლებად ფიქრობდნენ.

მეორე განყოფილებაში განხილვის საგნად იქცა საქართველოში არსებული საეკლესიო ტრადიციები. საქართველოში საეკლესიო ტრადიციების დევნასა და აკრძალვას შეეხო ყოვლადსამღვდელო ლეონიდი თავის მოხსენებაში. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებას მწვავედ აკრიტიკებდა მოგილიოვის ეპისკოპოსი სტეფანი. ფაქტობრივად, ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაში არ ყოფილა ისეთი საკითხი, რომელიც რუს ეპისკოპოსს მწვავედ არ გაეკრიტიკებინა. ცხადია, არც საეკლესიო ტრადიციებს დატოვებდა იგი უყურადღებოდ. ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენებაში აღნიშნული ფაქტები სავსებით მიუღებელი აღმოჩნდა ეპისკოპოს სტეფანისათვის. მისთვის, პირველ რიგში, მიუღებელი იყო რუსი ეგზარქოსების დადანაშაულება ქართული საეკლესიო ტრადიციების დევნაში, რადგან, მისი აზრით, ასეთი მოვლენები არ ყოფილა. თუმცა მოგილიოვის ეპისკოპოსს მოუწია ისეთი ფაქტების გახსენებაც, რომლებიც ნამდვილად ადასტურებდნენ საქართველოში საეკლესიო ტრადიციების დევნას. ყოველივე ეს კი, მისი აზრით, განპირობებული იყო ქართველებისადმი ეგზარქოსების კეთილგანწყობით. ყოვლად-სამღვდ-ელო კირიონმა უპასუხა რუსი ეპისკოპოსის გამოსვლას. ქართველმა მღვდელმთავარმა განმარტა, რომ რუსი ეგზარქოსები ებრძოდნენ უძველეს ტრადიციებს.

ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენების განხილვამ ფაქტობრივად დაჩრდილა მთავარი საკითხი, რისთვისაც რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილება იყო შეკრებილი. სხდომაზე უამრავი ისეთი თემა წამოიჭრა, რომლებიც განხილვას საჭიროებდა. ის დრო, რაც მეორე განყოფილებამ საქართველოს ეკლესიის საკითხის განხილვას დაუთმო, არასაკმარისი აღმოჩნდა აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად. საბოლოოდ, სხდომაზე მყოფი სასულიერო და საერო პირები შეთანხმდნენ, რომ შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის არქივში არსებული მასალების შესწავლითა და მათი განხილვით. საარქივო მასალების შესწავლის სურვილი გამოთქვა პროფესორმატიმოფეი ბუტკევიჩმა, ქართული დელეგაციის მხრიდან კი – ეპისკოპოსმა კირიონმა. სხდომა კვლავ ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენების გარშემო ტრიალებდა. განყოფილების მუშაობისას გამოითქვა აზრი ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების განხილვის გადადების თაობაზე, რაც რუსმა სასულიერო პირებმა არ გაიზიარეს. ეპისკოპოსი სტეპანი თვლიდა, რომ ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენებით რუსეთის ეკლესია ამოსვარეს ტალახში იმ სიკეთის სანაცვლოდ, რაც მან საქართველოს ეკლესიისათვის გაიღო. ამიტომაც მოხსენების განხილვის გადადება არაფრით არ შეიძლებოდა: "თუკი ავტოკეფალიას მოითხოვენ, სახელდობრ აქ წარმოდგენილი ბრალდების წაყლობით, მაშინ ჩვენი ვალია, დავიცვათ ჩვენი ეკლესია და მისი წარმომადგენლები წამოყენებული ცილისწამებისაგან, თუგინდ ავტოკეფალიის საკითხისაგან დამოუკიდებლად".

ვახტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია, . (1801-1918) წიგნი 3; გვ: 493-495

დავით ცეცხლაძე – ოზურგეთის 2022 წლის ჩემპიონი ჭადრაკში

ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დამთავრდა 2022 წლის მუნიციპალური ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც 18 მოჭადრაკე მონაწილეობდა. საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლა, რომელიც შვეიცარული სისტემით 7 ტურად მიმდინარეობდა, ხუთ დღეს გაგრძელდა. უფროსი თაობის მოჭადრაკეებთან ერთად, ჩემპიონატში ჩართული იყო სასკოლო ასაკის მოჭადრაკეები. დებულების მიხედვით ჩემპიონატში მონაწილეობდნენ ქალთა შორის მუნიციპალური ჩემპიონატის პრიზიორები.

ჩემპიონატის ფავორიტებმა მოგებებით დაიწყეს, თუმცა ლიდერების ერთმანეთთან დაპირისპირების შემდეგ სატურნირო ცხრილის სათავეში მდგომარეობა დაიძაბა. ამ დაძაბულობას ყველაზე კარგად **დავით ცეცხლაძემ** გაართვა თავი, რომელმაც უშუალო მეტოქეებთან პარტიები მოიგო და უდანაკარგო შედეგით, უკვე მესამეჯერ, გახდა მუნიციპალიტეტის ჩემპიონი.

კარგი და სტაბილური მიზანდასახულობით, ვიცე-ჩემპიონის ტიტულის მომტანი მეორე ადგილი **გივი სიამაშვილმა** ერთპიროვნულად დაიკავა. მესამე საპრიზო ადგილი კი, თანაბრად გაიყვეს **გიორგი გოგოლაურმა** და **ნათია ვასაძემ..** ნათიამ მნიშვნელოვნად აიმაღლა სათამაშო დონე და შედეგებითაც ქებას იმსახურებს.

ჩემპიონატში კარგი თამაშით და შედეგებით თავი გამოავლინეს **ნიკა ბარამიძემ** და **ლუკა მახარაძემ.** იგივე შეიძლება ითქვას ახალგაზრდებზე (**ლიზი ვასაძე, ლაზარე ჩხარტიშვილი.სანდრო გოგუაძე, დემეტრე გოგიტიძე** და სხვ), რომლებმაც თეორიული ცოდნით და გაზრებული თამაშით, ამ ჩემპიონატშიც გამოიჩინეს თავი.

ჩემპიონატი საზეიმო ვითარებაში დაიხურა. შეხვედრამ, რომელშიც ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელმა პირებმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიამ** და გურიის სამხარეო ადმინისტრაციის რწმუნებულის მოადგილე **ზაზა შოშიტაიშვილმა** მიიღო მონაწილეობა, პრაქტიკულად წლევანდელი საჭადრაკო-სპორტული სეზონის შეჯამების სახე მიიღო. გურიის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზურაბ ანდღულაძემ,** დამსწრეთ წარუდგინა და შესაბამისი სიგელებით დააჯილდოვა ის 20-მდე ახალგაზრდა მოჭადრაკე, რომლებმაც წელს რეგიონალურ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში ოზურგეთის სახელით იასპარეზეს და ოცამდე სხვადასხვა სინჯის მედალი აიღეს.

შესაბამისი, მედლებით, დიპლომებით, საჩუქრებით და ფულადი პრიზებით, დაჯილდოვდა ოზურგეთის 2022 წლის ჩემპიონები და პრიზიორები. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა, შორის.

სპეციალური პრიზები გადაეცათ სხვა წარმატებულ მოჭადრაკეებს, რომლებიც დააწესა ოლეგი გობრონიძემ. ბახვა დოლიძემ, ვასილ ბლაგიძემ და როდერი მექვაბიშვილმა.

ნახატებისა და ესეების კონკურსი – „არა ქალთა მიმართ ძალადობას“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, ნახატებისა და ესეების კონკურსი – „არა ქალთა მიმართ ძალადობას“ გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა სამრევლო და საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს.

საკონკურსო კომისიამ გამოავლინა 6 გამარჯვებული, რომლებიც ოზურგეთის მერის მოადგილემ, **ნათია გოლიაძემ,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, **ნინო ჭანიშვილმა,** საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე **ქეთევან ხომერიკმა,** მერიის სამსახურის უფროსმა **ლალი სიჭინავამ** დააჯილდოვეს.

ნახატების კონკურსში **ნინო აბაშიძემ** გაიმარჯვა (ნარუჯის საჯარო სკოლა); მეორე **სესილი თოდრაძე** იყო (№2 საჯარო სკოლა); მესამე – **თეკლა სოსელია** (ვაკიჯვრის საჯარო სკოლა).

ესეების კონკრსში **ლუკა მექვაბიშვილმა** გაიმარჯვა (№3 საჯარო სკოლა); მეორე – **მარიამ მეფარიშვილი** (№1 საჯარო სკოლა); მესამე –**ანი რომანაძე** (კონჭკათის საჯარო სკოლა).

კონკურსის თითოეულ მონაწილეს გადაეცა სიგელი. გამარჯვებულებისთვის კი დაწესებული იყო ფულადი პრიზები: პირველ ადგილზე გასულმა გამარჯვებულმა მიიღო – 600 ლარი, მეორე ადგილზე – 400 ლარი, ხოლო მესამე ადგილის მფლობელს 200 ლარი გადაეცა.

„ადამიანების გასაჭირის დასაძლევად მნიშვნელოვანია ერთმანეთის გვერდით დგომა და სიყვარული“

ალიონი. ოზურგეთის სახელმწიფო დამატრული თეატრის მცირე სცენაზე **ჩოხატაურის** მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა თეატრალური სტუდიამ **ქეთევან კუკულავას** მონო პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი –„ პანდემია“ წარმოადგინა.

სპექტაკლში მთავარ როლს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე **მარიამ შარაშენიძე** ასრულებს.

მარიამ შარაშენიძის სასცენო ხელოვნება,მანამდე ოზურგეთის თეატრის სცენაზე ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით ქეთევან კუკულავას დადგმაში „გეყურებათ თქვენ (?!)“ ვნახეთ. აქ მარიამმა ხატია განასახიერა . ეს სპექტაკლი ოზურგეთის თეატრის სცენაზე იყო ნაჩვენები.

წელს, ივლისში, ჩოხატაურში ნოდარ დუმბაძის მესამე თეატრალურ ფესტივალზეც ვნახეთ იგი – ჩოხატაურის სახალხო თეატრის ნოდარ დუმბაძის „ხაზარულას“ მიხედვით განხორციელებულ მუსიკალურ პერფოანსში „ხაზარულა“, (რეჟისორ გორა ხვიჩიას დადგმა).

არ არის ადვილი ოზურგეთის თეატრის მომთხოვნ მაყურებლის მოხიბვლა, რომელიც საუკეთესო დადგმებითაა განებივრებული, თუმცა მარიამმა ეს შეძლო. მისი გმირია მარტოხელა მსახიობი ქალი,რომელიც პანდემიის დროს წერს და დგამს სპექტაკლს, რომელიც ონლაინ რეჟიმში უნდა გადაიცეს.

როგორც მონო-სპექტაკლის შემდეგ ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **ვასილ ჩიგოგიძემ** აღნიშნა, მონო სპექტაკლი ზრდასრულმა ადამიანმა უნდა ითამაშოს,რომელსაც განვლილი ცხოვრებისა და დღევანდელობიდან გამომდინარე, ამ თემასთან აქვს შეხება, და მუხედავად ასაკისა, ამას მარიამი შესანიშნავად ახერხებს. ასე გახსნილი, თავისუფალი, უკომპლექსო –*ამ ბავშვს ძალიან დიდი მომავალი აქვს. თავად კი ეს არის ტექსტი ავტორის გულიდან ამოხეთქილი, სწორედ პანდემიიდან და უმძიმეს მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც მსოფლიოს დაატყდა თავს და ადამიანის სულიდან ამოთქმული ეს ტექსტი თქვენ მიიტანეთ მაყურებლამდე. მისასალმებელია, როდესაც ახალი თაობა დაინტერესებულია თეატრით და თამაშობენ სპექტაკლებში*–აღნიშნა **ვასილ ჩიგოგიძემ.**

სპექტაკლის გარშემო თავის მოსაზრება გამოთქვა ოზურგეთის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა **ლელა იმედაშვილმა:**

– *ამ სპექტაკლში ტექსტს მთელი შინაგანი რწმენით გადმოსცემდა და აღფრთოვანებული ვარ მარიამის სამსახიობო ოსტატობით. ძალიან სასიხარულოა, რომ რეგიონში სკოლის მოსწავლეები ჩართულნი არიან ასეთ ღონისძიებებში. ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენა არის ყველაზე მაგარი საქმე რასაც თქვენ, ქალბატონო ქეთევან, აკეთებთ*–აღნიშნა ლელა იმედაშვილმა.

როგორც ამ მონო სპექტაკლის შემქნელმა, **ქეთევან კუკულავამ** განაცხადა, ჩოხატაურში, კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა და ახალგაზრდული თეატრალური დასი შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის“ მხარდაჭერით და მათი ინიციატივით დაიდგა ეს სპექტაკლი.

– *ამ პატარა სპექტაკლით ჩვენ ვამბობთ, რომ ადამიანების გასაჭირის დასაძლევად მნიშვნელოვანია ერთმანეთის გვერდით დგომა და სიყვარული* – თქვა სპექტსკლის რეჟისორმა.

სპექტაკლს მარიამის მშობლებიც ესწრებოდნენ. როგორც გავიგეთ, მარიამს 7 და-ძმა ჰყავს და თავად მეშვიდე შვილია.

წარმატებები მარიამ შარაშენიძეს.

მიხეილ გოგუაძის ტურნირზე

ქ. ოზურგეთში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის,ოზურგეთში ჭიდაობის ფუძემდებლის მწვრთნელის **მიხეილ გოგუაძის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ოზურგეთელი სპორტსმენების გარდა ტურნირში მონაწილეობდნენ ქობულეთის სასპორტო სკოლის სპორტსმენები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ:

ოზურგეთიდან – **გიორგი ტრაპაიძე, გიორგი ანთაძე, მათე ქავთარაძე, გიორგი პანკრატოვი, გიორგი ბერიძე, გიორგი ქათამაძე, სანა რურუა, ბადრი გუჯაბიძე, გუჯა ტყემალაძე** (32,32, 38, 51,55,60, 65,71, 85 კგ. წონითი კატეგორია). ქობულეთიდან –**სანა შავაძე, გიგა ხაბაზი, გიგა შავაძე** (41,44,48 კგ. წონითი კატეგორია).

ოზურგეთის სპორტსკოლის თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელი **დავით მაჭარაშვილი** მადლობას უხდის სპორტის განვითარების სამსახურს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას თანადგომისთვის.

წვიმა +3+11	მზე, ღრუბელი -1+5	მზე, ღრუბელი +1+6	მზე, +7+13	მზე, ღრუბელი +4+11	წვიმა +3+9	წვიმა +5+10
19 დეკემბერი ორშაბათი	20 დეკემბერი სამშაბათი	21 დეკემბერი ოთხშაბათი	22 დეკემბერი ხუთშაბათი	23 დეკემბერი პარასკევი	24 დეკემბერი შაბათი	25 დეკემბერი კვირა